

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4 2021 წლის 24 თებერვალი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2021, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.141.016324) შეტანილი შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 13644651 (ცამეტი მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათას ექვსას ორმოცდათერთმეტი) ლარის ოდენობით და ხარჯების მიხედვით 16309432 (თექვსმეტი მილიონ სამას ცხრა ათას ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, გარდამავალი ნაშთი შეადგენს 322863 (სამას ოცდაორი ათას რვაას სამოცდასამი) ლარის ოდენობით დანართის შესაბამისად“

2. „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №18 დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიციან

დანართი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	17066,3	18940,1	9 385,5	9 554,6	13 534,7	9 147,6	4 387,1
გადასახადები	7892,6	7 793,5	7 793,5	-	7 966,9	7 966,9	-



გრანტები	7161,7	9 769,6	215,0	9 554,6	4 602,1	215,0	4 387,1
სხვა შემოსავლები	2012,0	1 377,0	1 377,0	-	965,7	965,7	-
II. ხარჯები	8671,2	8 600,2	8 373,4	226,8	8 570,7	8 570,7	-
შრომის ანაზღაურება	2158,9	1 731,6	1 731,6	-	1 560,3	1 560,3	-
საქონელი და მომსახურება	1991,4	2 125,0	1 898,2	226,8	2 134,9	2 134,9	-
პროცენტი	54,5	53,7	53,7	-	38,6	38,6	-
სუბსიდიები	3290,8	3642,1	3642,1	-	3 698,2	3 698,2	-
გრანტი	67,5	73,9	73,9	-	70,0	70,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	741,9	823,7	823,7	-	785,0	785,0	-
სხვა ხარჯები	366,2	150,2	150,2	-	283,7	283,7	-
III. საოპერაციო საღდო	8395,1	10339,9	1012,1	9327,8	4 964,0	576,9	4 387,1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8508,2	13259,4	3286,9	9972,5	7 548,2	2 822,0	4 726,2
ზრდა	8627,9	13369,4	3396,9	9972,5	7 658,2	2 932,0	4 726,2
კლება	119,7	110,0	110,0	-	110,0	110,0	-
V. მთლიანი საღდო	- 113,1	- 2919,5	- 2274,8	- 644,7	- 2584,2	- 2245,1	- 339,1
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 311,1	- 3045,5	- 2400,8	- 644,7	- 2664,7	- 2325,6	- 339,1
ზრდა	- 311,1	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 311,1	-	-	-	-	-	-
კლება	-	3045,5	2400,8	644,7	2 664,7	2 325,6	339,1
ვალუტა და დეპოზიტები	-	3045,5	2400,8	644,7	2 664,7	2 325,6	339,1
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 198,0	- 126,0	- 126,0	-	- 80,5	- 80,5	-
კლება	198,0	126,0	126,0	-	80,5	80,5	-
საშინაო	198,0	126,0	126,0	-	80,5	80,5	-
სესხები	198,0	126,0	126,0	-	80,5	80,5	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	0,0	- 0,0	-	-	-	-	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	17 186,0	19 050,1	9 495,5	9 554,6	13 644,7	9 257,6	4 387,1
შემოსავლები	17 066,3	18 940,1	9 385,5	9 554,6	13 534,7	9 147,6	4 387,1
არაფინანსური აქტივების კლება	119,7	110,0	110,0		110,0	110,0	-
გადასახდელები	17 497,1	22 095,6	11 896,3	10 199,3	16 309,4	11 583,2	4 726,2
ხარჯები	8 671,2	8 600,2	8 373,4	226,8	8 570,7	8 570,7	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 627,9	13 369,4	3 396,9	9 972,5	7 658,2	2 932,0	4 726,2
ვალდებულებების კლება	198,0	126,0	126,0	-	80,5	80,5	-
ნაშთის ცვლილება	- 311,1	- 3045,5	- 2400,8	- 644,7	- 2664,7	- 2325,6	- 339,1

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 13 534,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	17 066,3	18 940,1	9 385,5	9 554,6	13 534,7	9 147,6	4 387,1
გადასახადები	7 892,6	7 793,5	7 793,5	-	7 966,9	7 966,9	-
გრანტები	7 161,7	9 769,6	215,0	9 554,6	4 602,1	215,0	4 387,1
სხვა შემოსავლები	2 012,0	1 377,0	1 377,0		965,7	965,7	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 7 966,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	7 892,6	7 793,5	7 793,5	-	7 966,9	7 966,9	-



საშემოსავლო გადასახადი	-	-			-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	696,8	693,5	693,5		866,9	866,9	
ქონების გადასახადი	7 195,8	7 100,0	7 100,0	-	7 100,0	7 100,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6 918,7	6 930,0	6 930,0		6 930,0	6 930,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,1	3,0	3,0		3,0	3,0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,2	2,0	2,0		2,0	2,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	78,8	82,0	82,0		82,0	82,0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	195,0	83,0	83,0		83,0	83,0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 4602,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
გრანტები	7 161,7	9 769,6	4 602,1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	7 161,7	9 769,6	4 602,1
გათანაბრებითი ტრანსფერი	-		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	332,6	215,0	215,0
კაპიტალური ტრანსფერი	6 698,8	9 554,6	4 387,1
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	130,3	-	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	130,3		
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ			

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 965,7 ათასი ლარით:

ათას ლარში



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 012,0	1 377,0	965,7
შემოსავლები საკუთრებიდან	518,1	419,0	537,6
პროცენტები	261,3	227,0	320,0
რენტა	256,8	192,0	217,6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 039,6	508,0	168,1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 014,3	488,0	146,1
სანებართვო მოსაკრებელი	7,7	6,0	6,1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	11,0	7,0	7,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	948,6	450,0	100,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	46,8	25,0	33,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,2	-	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25,3	20,0	22,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	312,7	300,0	260,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	141,6	150,0	
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 8570,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	8 671,2	8 600,2	8 373,4	226,8	8 570,7	8 570,7	-
შრომის ანაზღაურება	2 158,9	1 731,6	1 731,6	-	1 560,3	1 560,3	-
საქონელი და მომსახურება	1 991,4	2 125,0	1 898,2	226,8	2 134,9	2 134,9	-
პროცენტები	54,5	53,7	53,7	-	38,6	38,6	-
სუბსიდიები	3 290,8	3 642,1	3 642,1	-	3 698,2	3 698,2	-
გრანტები	67,5	73,9	73,9	-	70,0	70,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	741,9	823,7	823,7	-	785,0	785,0	-
სხვა ხარჯები	366,2	150,2	150,2	-	283,7	283,7	-



მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 7548,2 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა – 7658,2 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება – 110,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ-კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	141,5	232,2	372,4
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	141,5	232,2	372,4
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 900,4	10 036,3	5 516,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 055,2	6 105,5	3 211,1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	261,8	1 871,2	23,2
02 03	გარე განათება	-	27,9	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	122,2	354,0	638,9
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	640,0	832,1	549,5
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	821,2	845,6	1 094,1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	27,5	-	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	27,5	-	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	განათლება	1 334,4	2 932,3	1 750,2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,4	36,0	9,4
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	384,0	518,1	1 658,8
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	947,0	2 378,2	82,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	10,5	14,2	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	-	9,5	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	10,5	4,7	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	213,6	154,4	18,8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	213,6	154,4	18,8
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	8 627,9	13 369,4	7 658,2



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	119,7	110,0	110,0
ბირთადი აქტივები	29,8	30,0	30,0
არაწარმოებული აქტივები	89,9	80,0	80,0
მიწა	89,9	80,0	80,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 078,4	3 329,8	3 448,2
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 825,9	3 150,1	3 409,6
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 825,9	3 144,0	3 257,6
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	6,1	152,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	252,5	179,7	38,6
7.2	თავდაცვა	99,8	105,1	110,3
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	99,8	105,1	110,3
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5 949,7	6 369,1	3 626,2
7.4.5	ტრანსპორტი	5 949,7	6 369,1	3 626,2
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 949,7	6 369,1	3 626,2
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-
7.5	გარემოს დაცვა	690,3	705,9	651,0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	690,3	705,9	651,0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2 609,8	4 431,9	2 652,2
7.6.1	ბინათმშენებლობა	-	-	-
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6.3	წყალმომარაგება	358,5	1 981,1	81,2
7.6.4	გარე განათება	232,7	267,8	234,0



7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2 018,6	2 183,0	2 337,0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	378,8	387,3	242,6
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	378,8	387,3	242,6
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 398,8	1 420,9	1 250,1
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	755,2	722,9	592,5
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	630,2	657,3	620,0
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	13,4	40,7	37,6
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	-	-
7.9	განათლება	2 562,9	4 518,8	3 463,3
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1 499,5	2 000,6	3 381,3
7.9 2	ზოგადი განათლება	1 063,4	2 518,2	82,0
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	1 063,4	2 518,2	82,0
7 10	სოციალური დაცვა	743,8	842,1	785,0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	53,0	45,0	45,0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	-
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	205,0	305,0	224,0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	20,3	30,0	40,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	465,5	462,1	476,0
	სულ	17 512,3	22 110,9	16 228,9

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -2584,2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 4964,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	8 395,1	10 339,9	4 964,0
მთლიანი სალდო	- 113,1	- 2 919,5	- 2 584,2

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 2664,7 ათასი ლარით:



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 311,1	- 3 045,5	- 2 664,7
ზრდა	- 311,1	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	- 311,1	-	-
კლება	-	3 045,5	2 664,7
ვალუტა და დეპოზიტი	-	3 045,5	2 664,7

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 80,5 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 564,5 ათას ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 484,0 ათასი ლარი.

თავი II.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6278,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 278,4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 626,2
02 01 01	გზების რეაბილიტაცია	3 211,1
02 01 02	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	415,1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	81,2
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	46,2
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	35,0
02 03	გარე განათება	234,0
02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	130,0
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	104,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	693,4



02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	693,4
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	549,5
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1 094,1

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		3 211,1
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფ. ალათუმანი - ბეჟანოს გზის რეაბილიტაცია I ეტაპი • ახალქალაქი - კარწახი (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზიდან ვაჩიანი-ოკამი-აზმანა-ქარცევი-აფნია-გოგაშენის გზის მოასფალტება. კმ. 9,3-დან სოფ. ქარცევამდე (მისასვლელთან არსებული აღმართის ჩათვლით) • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზიდან სულდა-მისანიკიანი, ერინჯა-დავნი-ხავეთი გზის რეაბილიტაციის (რკინა-ბეტონის საფარის მოწობა) მონაკვეთის სულდა-მისანიკიანის I და II ეტაპი • სოფ. არაგვა-ზაკი-ბუღაშენის გზის რეაბილიტაცია • ვაჩიანი-ოკამის გზის რეაბილიტაცია IV ეტაპი • ვაჩიანი-ოკამის გზის რეაბილიტაცია I და II ეტაპი • სოფ. ბარაღეთ - იხტილის გზის მოასფალტება II ეტაპი • სოფ. ბაგრა-კარტიკამის გზის რეაბილიტაცია • ქ. ახალქალაქში თავისუფლების ქუჩის (გაზის ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე) მონაკვეთის რეაბილიტაცია 		
მოსალოდნელი შედეგი	ქუჩების და სასოფლო გზების მდგომარეობა გაუმჯობესდება,		

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		415,1
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-შენახვას, აგრეთვე, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> • სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლის გზების მოსწორება • ქ. ახალქალაქის ქუჩების დაზიანებული ა/ბეტონის საფარის შეკეთება 		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქუჩების მდგომარეობა გაუმჯობესდება, მოსახლეობა ისარგებლებს სუფთა და მოხერხებული გზებით, იმპორავებს კომფორტულად.</p> <p>ზამთრის პერიოდში მოსახლეობას ექნება ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრამდე შეუფერხებელი მოძრაობა</p>		



პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		46,2
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციასა და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფ. ვარევანში სასმელი წყლის ახალი წყალსადენის გაყვანა • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ სამსარში სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ალასტანში 2(ორი) წყალსაცავის რეაბილიტაცია 		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში იარსებებს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე ექნება შეუფერხებელი წვდომა; - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები იფუნქციონირებს გამართულად; - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრება დროულად. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		35,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ ახალქალაქის გარდა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა. <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 3 საშტატო ერთეული და 1 შტატგარეშე თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ხარჯები</p> <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.</p>		



	მინარსის ტიპის მიხედვით სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03 01		130,0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში და ადმინისტრაციულ ერთეულებში (დასახლებულ პუნქტში), მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია</p> <ul style="list-style-type: none"> • გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება. 		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03 02		104,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; • ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; • დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. 		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება (ათასი ლარი)
-------------------------	------	--	------------------------------------



	02 06 01	693,4
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელუბის მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა- მოსახლეობის განწყობის ამაღლება.</p> <p>კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა შედგება ქვეპროგრამისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის საპირფარეშოს რეაბილიტაცია • სანაგვე ურნების შექმნა • შუქნიშნების ტექნიკური მომსახურება • ა(ა)იპ „ახალქალაქისა და კუმურდოს ეპოქის მუზეუმის“ საგამოფენო დარბაზის გათბობის სისტემის მოწყობისათვის • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა (220*120) • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული (გამხმარი) ხეების მოჭრა - გასხვლა • ქ. ახალქალაქში, სპორტული კომპლექსის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობებში გაზისა და ელექტროენერჯის მრიცხველების დაყენება • სოფ. კიროვკანის ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციის დასრულება • ქ. ახალქალაქში ჩარენცის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური პარკის (ხას ბახჩას) რეაბილიტაცია • ქ. ახალქალაქისა და ყოფილი 1-ლი ს/ქ დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია • პირუტყვის ბაზრობის რეაბილიტაცია <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; კომფორტული და ჯანსაღი გარემო შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	<p>აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები, მოსაცდელუბი;</p> <p>მოსახლეობისთვის შექმნილი კომფორტული საცხოვრებელი გარემო;</p> <p>სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი;</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		549,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებითაც.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)		

	კოდი	2021 წლის დაფინანსება
--	------	-----------------------



რამის დასახელება		სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	ათასი ლარი
	02 09		1094,1
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა</p>		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 651,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	651,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	606,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	45,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		606,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
	<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშეიკრიბი მანქანები.</p> <p>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის</p>		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: კულიკამი, ხულგუმი, ზავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი, კუმურდო, ხოსპიო, გომანი, ჩამდურა, და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა , ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 3 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 85 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავშიდი.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ახალქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები და მათ შორის ქ. ახალქალაქის მიმდინარე ტერიტორია და მოსახლეობისათვის გასართობი ადგილები.</p>

პროგრამის დასახელება	<p>კოდი</p> <p>03 02</p>	<p>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</p>	<p>2021 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>45,0</p>
პროგრამის განმახორციელებელი	<p>ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი</p>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ახალქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 4 სამტატო ერთეულისაგან.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელებითი სამუშაოები.</p>		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3463,3 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	3 463,3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 653,3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 728,0
04 03	განათლების ღონისძიებები	82,0



პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1653,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.		
	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 11 სრული საბავშვო ბაღი და 3 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 900 -ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 215 ადამიანი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:		
	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;		
	საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;		
	ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;		
	საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;		
	ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;		
	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.		
ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა			
მოსალოდნელი შედეგი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამაელობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 981 ბავშვი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		1728,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ყოველწლიურად ხორციელდება არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა <ul style="list-style-type: none"> • სოფ. კუმურდოში ორსართულიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა 		



• სოფ. გოგაშენის საბავშვო ბაღის მშენებლობა

მოსალოდნელი შედეგი	განათლების ხარისხის ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		82
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებს რომლებშიც არ არის საჯარო სკოლები შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასკოლო ტრანსპორტით და მიიღონ საშუალო განათლება.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1250,1 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 250,1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	592,5
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	106,0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	486,5
05 01 02 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	175,0
05 01 02 02	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	38,5
05 01 02 03	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	180,0
05 01 02 04	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	93,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	657,6
05 02 01	კულტურის ღონისძიებები	66,0



05 02 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	554,0
05 02 02 01	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	93,4
05 02 02 02	საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	152,0
05 02 02 03	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	138,0
05 02 02 04	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	57,0
05 02 02 05	ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება	41,6
05 02 02 06	აშუგის სკოლის ხელშეწყობა	22,0
05 02 02 07	მომავლის სახლის ხელშეწყობა	50,0
05 02 03	საინფორმაციო პროგრამა	37,6

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		106,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით.</p> <p>პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება, ასპორტული ინვენტარის შეძენა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		175,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ფეხბურთი ● მინი ფეხბურთი ● მაგიდის ჩოგბურთი ● რაგბი ● კარატე ● ფრენბურთი ● თავისუფალი სტილით ჭიდაობა <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p>		



	<p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (ფრენბურთი; ფეხბურთი; ჭიდაობა; რაგბი; კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტული სკოლით სარგებლობს 180 მოსწავლე.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		38,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს ჭადრაკის სექცია სოფელ დილისკაში სადაც ირიცხება 40 მოსწავლე.</p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საჭადრაკო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საჭადრაკო სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საჭადრაკო სკოლით სარგებლობს 90 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 03		180,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კრივი; • კიკბოქსინგი; • კარატე; • კარატე კიოკუშინკაი; • სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში; <p>ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:</p> <p>სოფელ კარტიკაში კრივის სექცია -50 მოსწავლე;</p> <p>კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 25 მოსწავლე;</p> <p>ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე;</p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (კრივი, კიკბოქსი, კარატე, სათხილამურო სპორტი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და</p>		



	მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:
მოსალოდნელი შედეგი	სპორტ-კომპლექსი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სხვადასხვა სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტ-კომპლექსით სარგებლობს 400 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტისა და ფიტნესის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 04		93,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დახურული საცურაო აუზი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცურვა • ფიტნესი <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საცურაო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საცურაო აუზი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საცურაო აუზით სარგებლობს 70 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		66,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
